ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3741994

ნომერი: AR1563626

თარიღი : 09.12.2017

გაცემის თარიღი : 22.12.2017

გაცნობის თარიღი : 22.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლანა ქაჯაია პ/ნ 58001013011
- თბილისი საბურთალოს ქ. N 26 ბ. 2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1563626 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, #01.72.14.040.474 საკადასტრო ერთეულზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით, წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 30 ოქტომბრის #AR1553361 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, #01.72.14.040.474 საკადასტრო ერთეულზე შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (საზოგადოებრივი, საცხოვრებელი) (#898004, 13.09.13) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის 2017 წლის 14 დეკემბრის #3735148 ბრძანებით ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2017 წლის 18 დეკემბრის #AR1565494 განაცხადით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის (#3735148, 14.12.17წ) საფუძველზე მსენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ #898004; 3735148 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge